

KAMROY RADYO TELEVİZYON YAYINCILIK VE ORGANİZASYON A.Ş. v. თურქეთი

KAMROY RADYO TELEVİZYON YAYINCILIK VE ORGANİZASYON A.Ş. v. TURKEY

საჩივარი N19965/06

16.04.2019

გადაწყვეტილება

ფაქტები

მომჩივანი კომპანია Kamoy Radyo Televizyon Yayıncılık ve Organizasyon A.Ş. არის თურქული კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია ანკარაში (თურქეთი). მომჩივან მხარესთან დაკავშირებულმა კომპანიამ დაიწყო გაზეთის - Özlenen Gazete Vatan გამოცემა 1999 წელს, მას შემდეგ რაც სახელი დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშნად, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ორ თვეში დახურა იგი. კიდევ ერთმა კომპანიამ, Bağımsız Gazetecilik Yayıncılık A.Ş.-მ, 2002 წლის სექტემბერში დაიწყო გაზეთის გამოცემა სახელწოდებით Vatan, რამაც აიძულა შვილობილი კომპანია დაეწყო საქმისწარმოება სტამბოლის ინტელექტუალური საკუთრების სასამართლოში საკუთარი სასაქონლო ნიშნის დაცვის მიზნით. სასაქონლო ნიშანი მოგვიანებით გადაეცა მომჩივან კომპანიას და იგი გახდა საქმისწარმოების მხარე. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანი კომპანიის სასაქონლო ნიშნის დაცვის მოთხოვნა 2004 წელს, აღნიშნული გადაწყვეტილება 2005 წელს ძალაში დატოვა საკასაციო სასამართლომ. კერძოდ, ეროვნული სასამართლოები ეყრდნობოდნენ თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის აქტის 31 (2) ნაწილს, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წლის ნოემბერში, სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს. მოცემულ კანონში ნათქვამია, რომ პერიოდული გამოცემების გამომცემლებს სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ საკანონმდებლო დადგენილება N5-ის მიხედვით, არ შეიძლება ხელი შეშლოდათ პუბლიცირებაში. Bağımsız Gazetecilik -მა დაიწყო ცალკეული საქმისწარმოება 2004 წელს, ხოლო 2006 წელს მან მიაღწია წარმატებას, ანულირდა მომჩივანი კომპანიის სასაქონლო ნიშანი და მას მიენიჭა ამ სახელზე უფლება. ცალკე საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წელს გააუქმა საპატენტო ინსტიტუტის შესახებ კანონის 31(2) ნაწილი, და დაადგინა, რომ იგი არ შეესაბამებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებებს.

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე 1-ელი დამატებით ოქმის 1-ელ მუხლზე დაყრდნობით (საკუთრების დაცვა), მომჩივანი კომპანია დავობდა საკუთარი ქონების გამოყენების უკანონო შეზღუდვაზე კანონმდებლობის რეტროაქტიული გამოყენების გამო, რომელიც იცავდა დაცვის მეორე მხარეს.

სასამართლოს შეფასება

(ა) ფლობდა თუ არა მომჩივანი კომპანია საკუთრებას

37. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი გამოიყენება ინტელექტუალურ საკუთრებასთან მიმართებით (იხ. *Anheuser-Busch Inc.*, ციტირებული ზემოთ, § 72). წინამდებარე საქმეში მომჩივანი კომპანია იყო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი, რომელიც აღიარებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. მაშასადამე, *Anheuser-Busch Inc.*-ის (ციტირებული ზემოთ) საქმისგან განსხვავებით, წინამდებარე საქმეში არ იყო დავა იმის შესახებ, შეეძლო თუ არა მას მოეთხოვა მისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა. შესაბამისად, მომჩივან კომპანიას გააჩნდა კანონით აღიარებული უფლება და არა მხოლოდ საკუთრების უფლების მოპოვების კანონიერი მოლოდინი, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებს (შედარებისთვის იხ., *Balan v. Moldova*, no. [19247/03](#), § 34, 29 January 2008).

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივან კომპანიას გააჩნდა “საკუთრება” კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მნიშვნელობით. ახლა მან უნდა გამოიკვლიოს, ადგილი ჰქონდა თუ არა ჩარევას მისი საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში.

(ბ) ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას

39. მომჩივნის კომპანია დავობდა სასაქონლო ნიშნით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დარღვევაზე კანონმდებლობის, კერძოდ, თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის კანონის 31(2) ნაწილი ძალაში შესვლისა და რეტროსპექტული გამოყენების გამო, რითაც, მისი მტიცებით საკანონმდებლო დადგენილება N556 -ის მიხედვით მისი სასაქონლო ნიშნისთვის მინიჭებული დაცვა მოჩვენებითი გახდა.

40. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გარკვეულ გარემოებებში, კანონმდებლობის რეტროსპექტული გამოყენება, რომლის შედეგია ვინმეს წაართვას მანამდე არსებული “აქტივი”, რომელიც იყო მისი “საკუთრების” ნაწილი, შეიძლება წარმოადგენდეს ჩარევას რამაც შეიძლება დაარღვიოს სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა იყოს დაცული ერთი მხრივ საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და მეორე მხრივ საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების დაცვას შორის (იხ. სხვა მითითებებთან ერთად, *Maurice v. France* [GC], no. 11810/03, §§ 90 და 93, ECHR 2005-IX). ეს ასევე ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც დავა მიმდინარეობს კერძო პირებს შორის და სახელმწიფო თავად არ არის პროცესის მხარე (იხ. *Lecarpentier v. France*, no. 67847/01, §§ 48, 51 and 52, 14 February 2006; იხ. ასევე კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, *Cabourdin v. France*, no. 60796/00, §§ 28-30, 11 April 2006).

41. წინამდებარე საქმეში სასამართლო ადგენს, რომ თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის შესახებ კანონის 31 (2) ნაწილი რეტროსპექტული გამოყენება, რომელიც ძალაში შევიდა მომჩივანი კომპანიის მიერ წარმოებული სამართალწარმოების დროს, უდავოა (შედარებისთვის იხ. ზემოხსენებული საქმისგან Anheuser-Busch Inc. §84 განსხვავებით, სადაც სადავო იყო საერთოდ მოხდა თუ არა კანონმდებლობის რეტროსპექტულად გამოყენება; ამ შემთხვევაში სასამართლომ განაცხადა, რომ დადგენილი არ იყო ჰქონდა თუ არა მომჩივან კომპანიას პრიორიტეტის უფლება “Budweiser” სასაქონლო ნიშანთან მიმართებაში, როდესაც ორმხრივი შეთანხმება, რომელიც სავარაუდოდ გამოყენებული იქნა რეტროსპექტულად, ძალაში შევიდა. ამასთან დაკავშირებით, იგი პირველ რიგში, აღნიშნავს რომ საკანონმდებლო დადგენილება N556 -ის მიხედვით, კერძოდ, მუხლები 1, 6, და 61, მომჩივან კომპანიას ჰქონდა პრიორიტეტის უფლება როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელს.

42. ამ გარემოებებში, სასამართლო ადგენს, რომ თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის შესახებ კანონის 31(2) ნაწილი გამოყენება მომჩივანი კომპანიის საქმეში წარმოადგენდა ჩარევას მის საკუთრების უფლებაში კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მნიშვნელობით.

43. რაც შეეხება მოქმედ წესს, სასამართლო უთითებს თავის დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სტრუქტურასთან და მასში მოცემულ სამ წესთან დაკავშირებით (იხ. სხვა მითითებებთან ერთად, *Ališić and Others v. Bosnia and Herzegovina, Croatia, Serbia, Slovenia and the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 60642/08, § 98, ECHR 2014).

44. მოცემულ საქმეში სასამართლო მიიჩნევს, რომ საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევა, რომელიც გამოწვეულია თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის აქტის რეტროსპექტული გამოყენების შედეგად, არ შეიძლება კლასიფიცირდეს ზუსტ კატეგორიაში. აქედან გამომდინარე, საქმე უფრო სათანადოდ უნდა განიხილებოდეს 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში მოცემული ზოგადი წესის გათვალისწინებით.

(გ) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

45. სადავო არ არის, რომ გასაჩივრებული ჩარევა იყო კანონიერი, როგორც ამას მოითხოვს 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი. მეორე მხრივ, მხარეები არ ეთანხმებიან ამ ჩარევის ლეგიტიმურობას. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, მისდევდა თუ არა ის ლეგიტიმურ მიზანს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობდა თუ არა “საჯარო ინტერესი” და შეესაბამება თუ არა იგი პროპორციულობის პრინციპს.

46. ზოგადი პრინციპები საჯარო ინტერესების ლეგიტიმურ მიზანსა და “სამართლიან ბალანსს” შორის გამოიკვეთა სასამართლოს გადაწყვეტილებაში *Broniowski v. Poland* ([GC], no. 31443/96, §§ 148-51, ECHR 2004-V).

47. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მომჩივანი კომპანიის საჩივარი ეხება მხოლოდ მისი რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებას მესამე მხარის მიერ და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ სასაქონლო ნიშანზე პრიორიტეტის უფლების შეუსრულებლობას, რაც მისი თქმით, ხელს უშლიდა მას სასაქონლო ნიშნის გამოყენების მხრივ უფრო ძლიერ მედიაჯგუფთან კონკურენციაში. შესაბამისად, სასამართლო ვერ დაეყრდნობა მთავრობის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ სასაქონლო ნიშანი საბოლოოდ გაუქმდა, რადგან ის არ გამოიყენებოდა მომჩივანი კომპანიის მიერ ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში, რადგან მომჩივნის საჩივარი არ ეხება აღნიშნულ გაუქმებას, არამედ სასაქონლო ნიშნის გამოყენების შეზღუდვას ამ ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს რომ აღნიშნული პერიოდი (რომელიც აღწერილია საკანონმდებლო დადგენილება N556-ის მე-14 მუხლში როგორც რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი) არ იყო გასული, როდესაც მოხდა სადავო ჩარევა, კერძოდ, როდესაც ძალაში შევიდა თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის შესახებ აქტი და მოხდა მისი გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი კომპანიის მიერ სასაქონლო ნიშნის ბოლო გამოყენების შემდეგ ხუთ წელზე მეტი იყო გასული, როდესაც საკასაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პირველი საქმის განხილვის დროს, სასამართლომ არ მიუთითა ამ ფაქტზე თავის დასაბუთებაში და მხოლოდ თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის შესახებ კანონის 31(2) ნაწილს დაეყრდნო მომჩივანი კომპანიის საქმის განხილვის დროს.

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ თურქეთის საპატენტო ინსტიტუტის შესახებ კანონის 31(2) ნაწილი გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ რეგულაცია რომელიც საკანონმდებლო დადგენილება N556 -ით სასაქონლო ნიშნის დაცვას აზრს მოკლებულს ხდიდა, არ შედიოდა საზოგადოებრივ ინტერესებში და არღვევდა საკუთრების უფლებას.

49. სასამართლო ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ეთანხმება მის დასაბუთებას (იხ., *mutatis mutandis, Börekçiogulları (Çökmez) and Others v. Turkey*, no. 58650/00, § 41, 19 October 2006).

50. ვინაიდან მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, რომლის საფუძელზეც მოხდა აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკანონმდებლო ჩარევა (რომელიც საბოლოოდ მოგვარდა რეტროაქტიული გზით) და მომჩივანი კომპანიისა და

კონკურენტ მედიაჯგუფს შორის ეროვნული სასამართლოების წინაშე დავის არსი, როგორც ჩანს, არ იყო გამართლებული რაიმე საჯარო ინტერესის საფუძლით, როგორც ამას მოითხოვს კანონის უზენაესობის პრინციპი (იხ. *Lecarpentier*, ციტირებული ზემოთ, § 48).

51. ამ გარემოებებში, სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობამ ვერ აჩვენა, რომ ჩარევა მომჩივანი კომპანიის საკუთრებაში ემსახურებოდა „საჯარო ინტერესებს“ (იხ., *a contrario, Petro-M SRL and Rinax-TVR SRL v. Moldova* (dec.), no. 44787/05. § 22, 28 February 2017).

52. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი.